DAVID IV AGHMASHENEBELI AND KINGDOM OF KAKHETI-HERETI

დავით IV აღმაშენებელი და კახეთ-ჰერეთის სამეფო

Leri Tavadze
PhD in History, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0008-5963-4565
leri.tavadze@tsu.ge

Abstract

One of the key issues of David IV Aghmashenebeli's ("Restorer", or sometimes translated as "Builder") reign is his relationship with the ruling elite of Kakheti-Hereti Kingdom. The Kingdom of Kakheti-Hereti was located to the east of the Kingdom of Georgia and represented second largest Georgian state, which claimed to be the leader in the Georgian World. David the Restorer's goal was to prevent future risks from the Kakheti-Hereti Kingdom and to turn this kingdom into a constituent part of the Kingdom of Georgia.

The above-mentioned issue is significant, since David's policy in relation to the Kingdom of Kakheti-Hereti raises many questions. The fact that the presence of two Georgian kingdoms in the Georgian World would sooner or later put the necessity of their unification on the agenda is indisputable. Such was the reality in the 11th century, including at the beginning of David's reign. It is well known that David was able to capture Kakheti-Hereti; But, what was the legitimacy for this action? How did the Georgian political elite perceive David's actions, as unification or conquest? What were the reasons behind successful and stable unification or conquest of Kakheti-Hereti, which as we know ensured the strong union of Kakheti-Hereti within the borders of united Georgia during the rule of David and afterwards? – These and other issues will be discussed in our article.

The study of David's policy in relation to the Kingdom of Kakheti-Hereti should be implemented on the basis of a complex analysis, hence contemporary narrative sources, numismatic and epigraphic materials will be considered. The obtained conclusions are based on David the Restorer's work, observing the views of his contemporaries and grounded on our survey of political processes.

The legitimacy of David's action against Kakheti-Hereti Kingdom was deeply rooted in the policy of his ancestor, Bagrat III, who conquered Kakheti-Hereti Kingdom for a short period of time. As we assume, David had another reason for the conquest, his mother most probably was a daughter of king of Kakheti-Hereti Kingdom. Despite the fact that many contemporaries considered David's actions as a conquest, the seizure of Kakheti-Hereti Kingdom was beneficial for the local population as they found strong protector against aggressive Muslim neighbors.

Key words: David the Restorer, Georgia, Hereti, Kakheti, Kingdom.

ლერი თავაძე
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0008-5963-4565
leri.tavadze@tsu.ge

აბსტრაქტი

დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია მისი ურთიერთობა კახეთ-ჰერეთის სამეფოს მმართველ ელიტასთან. კახეთ-ჰერეთის სამეფო მდებარეობდა საქართველოს სამეფოს აღმოსავლეთით და წარმოადგენდა მეორედ ყველაზე ვრცელ ქართულ სახელმწიფოს, რომელსაც მისწრაფება ჰქონდა ყოფილიყო ლიდერი ქართულ სამყაროში. დავით აღმაშენებლის მიზანი იყო კახეთ-ჰერეთის სამეფოდან მომავალი რისკები აღეკვეთა და ეს ქვეყანა საქართველოს სამეფოს შემადგენელ ნაწილად გადაექცია.

აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, ვინაიდან დავითის პოლიტიკა კახეთ-ჰერეთის სამეფოსთან მიმართებაში ბევრ კითხვას აჩენს. ის ფაქტი, რომ ორი ქართული სამეფოს არსებობა ქართულ სამყაროში ადრე თუ გვიან მათი გაერთიანებას დააყენებდა დღის წესრიგში უდავოა. ასეთი იყო XI საუკუნის რეალობა, დავითის ზეობის დასაწყისში. როგორც ცნობილია, დავითმა შეძლო კახეთ-ჰერეთის დაკავება; მაგრამ, რა ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდა ამ მოვლენას? როგორ აღიქვამდა ქართული პოლიტიკური ელიტა დავითის ქმედებას, როგორც გაერთიანებას თუ დაპყრობას? რამ შეუწყო ხელი და რა მიზეზები განაპირობებდა კახეთ-ჰერეთის შემოერთებას, რამაც დავითის დროს სტაბილურად უზრუნველყო კახეთ-ჰერეთის ერთიან საქართველოში ინტეგრაცია? – ძირითადად, ეს საკითხები იქნება ჩვენი დაკვირვების მთავარი ობიექტი.

დავითის პოლიტიკის შესწავლა კახეთ-ჰერეთის სამეფოსთან მიმართებაში უნდა მოხდეს კომპლექსური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად, აუცილებელია თანადროული ნარატიული წყაროების, ნუმიზმატიკისა და ეპიგრაფიკის გათვალისწინება. მიღებული დასკვნები კი დაფუძნებულია დავითის ნაშრომზე, თანამედროვეთა შეხედულებებსა და პოლიტიკური ვითარების ჩვენეულ მიმოხილვაზე.

დავითის ლეგიტიმიზმი დამყარებული იყო თავისი წინაპრის, ბაგრატ III-ის პოლიტიკაზე, რომელმაც კახეთ-ჰერეთის სამეფო მცირე ხნით შემოიერთა. ჩვენი აზრით, დავითს ჰქონდა საამისო კიდევ ერთი მიზეზი, თავისი დედა, სავარაუდოდ, გახლდათ კახეთ-ჰერეთის მეფის ასული. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თავისი თანამედროვე დავითის ქმედებას დაპყრობად აფასებდა, კახეთ-ჰერეთის შემოერთება სარგებლის მომტანი აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ვინაიდან მათ გაიჩინეს ძლიერი მფარველი აგრესიული მუსლიმი მეზობლების წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები: დავით აღმაშენებელი, კახეთი, სამეფო, საქართველო, ჰერეთი.

შესავალი

დავით IV აღმაშენებელი, როგორც ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი, კახეთ-ჰერეთის სამეფოს მფლობელი ხდება. XII საუკუნის დასაწყისში დავითი კახეთ-ჰერეთის სამეფოს დაიქვემდებარებს (ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 309-312). დავითის ტიტულატურაში ჩნდება ორი ქვეყნის აღმნიშვნელი წოდება, „რანთა და კახთა მეფე“ (დოლიძე, 1970: 126). საქართველოს სამეფოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს გაერთიანება ქართულ სამყაროში ერთიანი, დომინანტი ძალის ჩამოყალიბების მომასწავლებელი იყო. ყველაფერი ზემოთქმული ქართული სივრცის გაერთიანების დასაწყისი გახლდათ.

ყველაფერი ზემოთ თქმული კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნული პროცესები აღწერილია დავითის ისტორიკოსის მიერ, რომელიც მეფის თანამედროვე იყო. პირველწყაროებზე დაყრდნობით საკითხს ეხება XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც „ქართლის ცხოვრებას“ ეყრდნობა, ხოლო უფრო მრავალმხრივი წყაროების მოშველიებით პრობლემა შესწავლილი აქვთ თანამედროვე ისტორიკოსებს: ივანე ჯავახიშვილს, როინ მეტრეველს, ნოდარ ასათიანს, სოსო მარგიშვილსა და სხვ. (ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 311-312), (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 156-157, 563), (ჯავახიშვილი, 1983: 195-196), (მეტრეველი, 1986: 104-113), (ასათიანი, 1989), (ჯაფარიძე, 1995: 24-26), (მარგიშვილი, 2006: 41-44), (წიქორიძე, 2022: 41-55). ბოლო დროს კახეთ-ჰერეთის ისტორიაზე ჩვენც გამოვეცით მონოგრაფია, რომელშიც სათაურში დასმული საკითხიც არის გაშუქებული (თავაძე, 2022: 385-389, 409-412). თუმცა, ამჯერად, ერთ კონკრეტულ პრობლემას უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ და შევავსებთ არაერთი ახალი დაკვირვებით.

მეთოდები

აღნიშნული საკითხის კვლევისას ვიყენებთ შედარებითი ანალიზის მეთოდს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ისტორიოგრაფიული მეთოდია. ასევე, საისტორიო წყაროების კრიტიკული ანალიზისა და კომპლექსური ანალიზის მეთოდებს. კომპლექსური ანალიზი მოიაზრებს სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს გამოყენებას ერთი კონკრეტული საკითხის განხილვისას – სათაურში დასმული პრობლემის შესწავლისას მნიშვნელოვანია როგორც ნარატიული წყაროების, ასევე, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ნუმიზმატიკური მასალის ანალიზი.

შედეგები

აღნიშნული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთი შემოერთებას ჰქონდა გარკვეული ლეგიტიმური საფუძვლები. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საფუძველი ამ მოვლენას დავითის დიდმა წინაპარმა, ბაგრატ III დიდმა შეუქმნა, რომელმაც ბაგრატიონთა შორის პირველმა დაიპყრო რანთა და კახთა სამეფო. ამავე პოლიტიკას აგრძელებდნენ დავითის პაპა და მამა, ბაგრატ IV და გიორგი II. დავითის დედა უნდა ყოფილიყო კახეთ-ჰერეთის მეფის გაგიკის ქალიშვილი.

ამგვარად, სავარაუდოდ, დავითი დედის ხაზით კახეთ-ჰერეთის მეფეთა შთამომავალი იყო. ამგვარი ძლიერი ლეგიტიმური საფუძვლების მიუხედავად, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის დაკავება, უპირატესად, შესაძლებელი გახდა რანთა და კახთა სამეფოში არსებული შინაპოლიტიკური დაპირისპირების გამოყენებით. საქართველოს მეფემ, ასევე, ისარგებლა სელჩუკთა სახელმწიფოში არსებული არეულობითა და ქვეყნის დაშლით, ხოლო კახეთ-ჰერეთი სტაბილურად შემოუერთა ერთიან ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებას.

მსჯელობა

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს სამეფოს კახეთ-ჰერეთი შეუერთდა. ორი ქვეყანა ერთი სახელმწიფოს საზღვარში მოექცა. ამას დაეფუძნა დანარჩენი ქართული სამყაროს გაერთიანება დავითის დროშის ქვეშ. სამეფოთა გაერთიანება კი არ იყო მარტივი საქმე, დავითის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთების ლეგიტიმური საფუძვლების გამორკვევა, ვფიქრობ, წინამორბედი ბაგრატიონი მეფეების პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ.

აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა სამეფოების ერთობას საფუძველი ჯერ კიდევ ბაგრატ III-მ ჩაუყარა. მისი გარდაცვალების შემდეგ ერთიან ქვეყანას კახეთ-ჰერეთი მალევე გამოეყო (მატიანე ქართლისაჲ, 2008: 271-272), (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 140-142, 560-561), (ჯავახიშვილი, 1983: 131-133); (ლორთქიფანიძე, 1979: 159), (პაპუაშვილი, 1982: 204-206, 217-218), (სამუშია, 2012: 98-112), (სამუშია, 2019: 71-76), (თავაძე, 2020: 28-46), (თავაძე, 2022: 308-311). აფხაზთა და ქართველთა სამეფოს ბრძოლა კახეთ-ჰერეთის შემოერთების მიზნით გრძელდებოდა (სამუშია, 2018: 72-89, 238-246), (მეტრეველი, სამუშია, 2003: 118-128), (თავაძე, 2022: 335-373, 406-412). აღნიშნული გახლდათ საკმაოდ რთული პროცესი, რომელსაც ბაგრატიონ მეფეთა შორის საფუძველი ბაგრატ მესამემ შეუქმნა. სწორედ, ის გახლდათ პირველი მეფე, რომელმაც საქართველოს მეფეთა წოდებულებაში დაამკვიდრა „რანთა და კახთა მეფის“ ტიტული (სილოგავა,1980: 55-56). ბაგრატის მოღვაწეობა დავით აღმაშენებლის პერიოდის საქართველოსთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან კახეთ-ჰერეთის ფლობას გარკვეული ლეგიტიმაცია შესძინა. დავითის ტიტულატურაში „რანთა და კახთა მეფის“ ტიტულის იმ თანმიმდევრობით მოხსენიება როგორც ეს ბაგრატის წოდებულებაშია ასახული ზემოთქმულის არაპირდაპირი დადასტურებაა. აღნიშნული დასტურდება რუის-ურბნისის მოსახსენიებლით, ნუმიზ-მატიკური ძეგლებითა და ეპიგრაფიკული მასალით, ანუ თანადროული წყაროებით. დავითმა ორივე ქვეყანა ერთდროულად დაიკავა, მაგრამ ტიტულატურა იმგვარადაა წარმოდგენილი როგორც ბაგრატ მესამის დროს. მასში ჯერ რანთა მეფის ტიტული იხსენიება, ხოლო შემდეგ – კახთა.

ამგვარად, აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა სამეფოების გაერთიანების პრეცედენტი XII საუკუნის დამდეგისას უკვე არსებობდა, რაც ბაგრატ მესამის დამსახურება იყო. ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებლის დროს კახეთ-ჰერეთის შემოერთების ლეგიტიმური საფუძვლები რამდენიმე ისტორიულ მოვლენაში უნდა ვეძიოთ.

ბაგრატ მესამის მიერ რანთა და კახთა სამეფოს დაპყრობა მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია, რისთვისაც დავითი ამ ქვეყანას დაიკავებს. როგორც ცნობილია, ბაგრატის სამხედრო მოქმედებები კახეთ-ჰერეთში ზავით დასრულდა. კახეთ-ჰერეთის ახალგაზრდა მეფე კვირიკე III იძულებული გახდა თავისი სამეფო აფხაზთა და ქართველთა მეფე ბაგრატ III-ისთვის ჩაებარებინა (თავაძე, 2020: 18-40), (თავაძე, 2022: 308-310). აღნიშნული მოვლენა, როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატ მესამის ტიტულატურაში „რანთა და კახთა მეფის“ წოდებას დაამკვიდრებს. ბუნებრივია, მახსოვრობა ერთიანი აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა სამეფოს არსებობისა არ გამქრალა. ძირითადად, ამავე ლეგიტიმური საფუძვლის მოშველიებით კახეთ-ჰერეთის შემოერთების მიზნით იბრძოდნენ ბაგრატ IV და გიორგი II, დავით აღმაშენებლის პაპა და მამა (თავაძე, 2022: 402-409). დავითი ამავე პოლიტიკის გამგრძელებელია.

დავით IV აღმაშენებლის პერიოდში, სავარაუდოდ, არსებობდა მეორე მიზეზიც, რაც კახეთ-ჰერეთის სამეფოს ბაგრატიონთა სამეფოში ინტეგრაციის ლეგიტიმური საფუძველი გახდა. აღნიშნული უკავშირდება დავითის დედის ხაზით წარმომავლობას. დავითის დედის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ბევრი არაფერია ცნობილი. ბოლო დროს ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის დედა, ელენე, უნდა ყოფილიყო კახეთ-ჰერეთის მეფის გაგიკის ქალიშვილი და აღსართან I-ის და. აღნიშნული ჰიპოთეზა გამოთქმულია რამდენიმე არაპირდაპირი მონაცემის საფუძველზე (Tavadze, 2021: 349-353), (თავაძე, 2022: 363-364). ამ ვარაუდის მიხედვით, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ვაჟიშვილის, გიორგის და ელენეს შეუღლება მოხდა XI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოს სამეფოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს შორის ურთიერთობა მოწესრიგდა. ქუთაისისა და თელავის სამეფო სახლები მოურიგდებიან ერთმანეთს განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბიზანტიის იმპერიის დახმარების საქმეში სელჩუკთა წინააღმდეგ და საზღვრების დადგენაში (თავაძე, 2022: 363-366, 407-409). იმ შემთხვევაში, თუ გიორგი მეფის კახეთ-ჰერეთის სამეფო სახლთან დამოყვრება ისტორიული რეალობაა, გამოდის, დავით აღმაშენებელი დედის ხაზით კახეთ-ჰერეთის მეფის შვილიშვილი ყოფილა. აღნიშნული ფაქტი, ბუნებრივია, დავითის ბრძოლას კახეთ-ჰერეთის შემოერთების მიზნით კიდევ უფრო ლეგიტიმურს გახდიდა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთება არ ყოფილა მხოლოდ ლეგიტიმიზმის პრინციპებზე დამყარებული. რანთა და კახთა სამეფოს დაკავების კანონიერი საფუძვლები ერთგვარი ოფიციალური განაცხადი შეიძლებოდა ყოფილიყო, ან მისწრაფება, რასაც დაეფუძნა ბაგრატიონთა აღმოსავლეთით ექსპანსია. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან II-ს უფრო მეტი ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდა ემართა რანთა და კახთა სამეფო, როგორც კურთხეულ მეფესა და ამავე სამეფოს მეფეთა პირდაპირი მამაკაცის ხაზით შთამომავალს. აღნიშნულს გრძნობდა საქართველოს მმართველი ზედაფენაც. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღსართან მეორეს ახასიათებს როგორც

„არარათა მქონებელი ნიშთა მეფობისათჲ, არამედ ცუნდრუკი რაჲმე, უსჯულოჲ და უმეც[ა]რად უსამართლოჲ და ყოვლად წინაუკმოჲ მამისძმისა მისისაჲ“ (ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 309). აღსართანის ამგვარი დახასიათება მიკერძოებულია და მიზნად ისახავდა დამხობილი მეფის ხელისუფლების უზურპაციის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას. ისტორიკოსის მიხედვით, აღსართანი არ იყო მეფობის ღირსი, ვინაიდან იყო ცუნდრუკი, ურჯულო, უსამართლო და თავისი ბიძის, რომელიც „ჭეშმარიტ ქრისტიანედ“ არის დასახელებული, ანტიპოდი (ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 309). მემატიანე აღსართანის უარყოფითი დახასიათებით დავითის ქმედებების გამართლებას ცდილობს, რომელმაც კახეთ-ჰერეთის სამეფო მიიტაცა. იმ ფაქტს, რასაც მალავს ისტორიკოსი აღიარებს თავად მეფე. დავით აღმაშენებელი თავის ნაშრომში, „გალობანი სინანულისანში“, პირდაპირ წერს, *„ბოროტად გარდავჴედ საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა, და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა მივჰხუეჭე ნაწილი მათი, და ვიღუწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოჲ ვმკჳდრობდი ქუეყანასა ზედა“* (გრიგოლაშვილი, 1975: 182). ბუნებრივია, აღნიშნული სიტყვები კახეთ-ჰერეთის სამეფოს მიტაცებასაც („მივჰხუეჭე“) გულისხმობს.

დავითის მიხედვით, მეზობელი ქვეყნების საზღვრის დარღვევა, მიტაცება და სუსტის დაჩაგვრა არ იყო კარგი ქმდება. მეფე ამას ინანიებს. თუმცა, საფიქრებელია, რომ ეს მონანიება ხდება სიკვდილის მოახლოებისას, ცხოვრების ბოლო წლებში. ახალგაზრდა დავითი, როდესაც კახეთ-ჰერეთს იპყრობდა განსხვავებულად ფიქრობდა, რაზეც, პირველ რიგში, მისი ქმედებები მეტყველებს. ბუნებრივია, ექსპანსიონისტურ პოლიტიკას კახეთ-ჰერეთის სამეფოს მიმართ მხოლოდ სიცოცხლის ბოლო ჟამს მიღწეული, თვითკრიტიკული დავით მეფე არ აკრიტიკებდა. დავითის ისტორიკოსის ცნობით, „უმრავლესი კახთა ქუეყნისა ერი“ დამხობილი აღსართან მეფის მხარეს გამოდის და თურქ-სელჩუკებს სთხოვს დახმარებას (ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 311-312), (თავაძე, 2022: 385-389). ამ შემთხვევაში ისტორიკოსი გულისხმობს კახეთის მმართველი ელიტის უმრავლესობას, რომელიც აღსართანს უჭერდა მხარს და წინააღმდეგი იყო მისი ხელისუფლების ვინმეს მიერ მიტაცების. ამგვარად, დავითი, რომელიც თვითკრიტიკულადაა განწყობილი თავისი ზეობის ბოლო წლებში, არ იყო ერთადერთი, ვინც მეზობელი ქვეყნების დაპყრობას არ ამართლებდა. ასეთი იყო საკუთრივ კახეთ-ჰერეთის დაკავების პერიოდში კახეთის მმართველი ჯგუფის დიდი ნაწილი. ისტორიკოსი აღსართანის შეპყრობის შემდეგ პირდაპირ წერს სელჩუკთა სულტნის ჯარის შემოსევაზე, რომელსაც „უმრავლესი კახთა ქუეყნისა ერი“ ედგა გვერდით. თხზულებაში ვკითხულობთ:

„რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ჴსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბაჰრამ და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბა[ჰ]რამის ძემან, და მოსცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი, და ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ჴმაგანსმენილი იგი დიდი ძლევაჲ, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწი[ლ]ულითა ერითა დაჲოცნა სულტნისა იგი სპანი ურიცხუნი; ათაბაგი განძისაჲ და უმრავლესი კახთა ქუეყანისა

ერი, მტერთავე თანა გარე-მოდგომილი ჩუენთა, ესეოდენ ადვილად და მოსწრაფედ ჴელთ-უსხნა ღმერთმან საკჳრველებათამან, რომელ ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ჴელითა იპყრობდა, და ორთა არა თუ წარექცივნეს ბევრნი, არამედ სა[მალავთაჲთ] თჳთ მათითვე ტყეთა და მთხრებლთაჲთ ტყუედ მოჰყვანდეს იგინი ყოველნი“ (ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 311).

საინტერესოა, რომ ისტორიკოსი ახსენებს კახელებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ დავითის პოლიტიკას კახეთ-ჰერეთში, ხოლო ჰერი დიდებულების შესახებ წერს, რომ მათ აღსართანი შეიპყრეს და დავითს მიჰგვარეს. ასეთ ვითარებაში ისტორიკოსი ზუსტად არ გვიხსნის თუ რამ განაპირობა კახელი და ჰერი დიდებულების ასეთი განსხვავებული პოზიცია. კახელები თუ აღსართანის მხარეს იყვნენ, ჰერეთის დიდებულები დავითს ემხრობოდნენ.

XII საუკუნის დასაწყისის კახეთ-ჰერეთის სამეფოში სახეზეა ორი დიდი დაჯგუფება: 1) კახეთის დიდებულთა, აზნაურთა და სამხედრო პირთა უმრავლესობის მონაწილეობით. ისინი მხარს უჭერენ აღსართან მეორეს. შესაბამისად, აკრიტიკებენ დავითის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას; 2) ჰერეთის დიდებულთა ნაწილი ქავთარ ბაჰრამის ძისა და მისი დის-შვილების, არიშიანის და ბაჰრამის, მონაწილეობით. აქ უნდა ყოფილიყო გაერთიანებული ჰერეთის დიდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი და ისინი დავითის სასარგებლოდ მოქმედებდნენ.

საინტერესოა რამ გამოიწვია კახეთ-ჰერეთის სამეფოს მმართველი ზედაფენის ორად გაყოფა. ვფიქრობთ, ამგვარი გაყოფა უკვე მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც კახეთ-ჰერეთი გაერთიანდა XI საუკუნის დასაწყისში (თავაძე, 2020: 63-79). ორი სამეფოს ერთიანობა ბუნებრივად წარმოქმნიდა ეთნიკური ნიშნით დაყოფილ ორ ინტერესთა ჯგუფს. თუმცა, რანთა სა-მეფოსა და კახთა სამეფოს გაერთიანების პერიოდში მათი შეკავშირების მთავარი ფაქტორი მმართველი ელიტების საერთო ინტერესები იყო. საერთო ინტერესები გახლდათ შემდეგი: მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა, საზიარო ეკლესიის არსებობა და რელიგიური მრწამსი, რაც მათი ეროვნული იდენტობის, ქართველობის, განმაპირობებელი იყო (თავაძე, 2020: 66-70). მაგრამ საერთო მისწრაფებები რეალობას ვერ ცვლის. კახთა და ჰერთა ფეოდალური ელიტები ორ საუკუნეზე მეტი ცალკე სახელმწიფოებში არსებობდნენ, რამაც მათ შორის არსებული განსხვავება გამოკვეთილი გახადა. კახეთ-ჰერეთის მეფეთა მისწრაფება ამ ორივე ჯგუფის ინტერესების გატარება იყო. მართალია კახეთის და ჰერეთის ელიტებზე ბევრი მონაცემი არ გვაქვს, მაგრამ გარკვეული ტენდენციის დანახვა მაინც შეიძლება.

გადავავლოთ თვალი XI საუკუნეში არსებულ ვითარებას, რაც უკეთ დაგვანახებს კახეთ-ჰერეთში არსებული ამ ორი დაჯგუფების წარმოშობას. თავდაპირველად, XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ჰერეთის მეფე დავით კახთა ქორეპისკოპოსი ხდება, ჰერეთის დიდებულებს ჰქონდათ არჩევანი ან ადგილობრივი დინასტია დაეტოვებინათ, რომელიც მონოფიზიტური ორიენტაციის იყო, ანდა კახთა ქორეპისკოპოსი მოეწვიათ, რომელიც ქართულ-დიოფიზიტურ პოლიტიკას გაატარებდა. ქრისტიანული ჰე-

რეთი, ბუნებრივია, უარს ამბობდა მუსლიმური შადადიანთა დინასტიის მმართველობის ქვეშ ყოფნაზე. ჰერთა არჩევანი დავით კახთა ქორეპისკოპოსზე შეჩერდა, რასაც გეოგრაფიული ფაქტორის გარდა რელიგიაც განაპირობებდა. ჰერეთის დიდებულთა გადაბირებას მიზნად ისახავდა ბაგრატ მესამეც, რომელმაც უფრო აგრესიული პოლიტიკა აირჩია და კახეთ-ჰერეთი ძალით დაიქვემდებარა. თუმცა, მისი გარდაცვალების შემდეგ დაპყრობილი ქვეყანა მალევე ჩამოშორდა ერთიან საქართველოს (თავაძე, 2022: 286-311).

კვირიკე მესამე დიდი, როგორც ჩანს, აკმაყოფილებდა კახთა და ჰერთა ინტერესს, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ქვეყნის სათავეში გაგიკ ბაგრატუნ-კვირიკიანი მოვიდა, კახეთ-ჰერეთის სამეფოში განსაკუთრებით გაძლიერდა ჰერეთის დიდებულთა ჯგუფი. გოდერძი მაჭისა და ტურის ერისთავთ-ერისთავი გაგიკის ზეობის პერიოდში ყველაზე გავლენიანი დიდებული ჩანს რანთა და კახთა მეფის კარზე (მატიანე ქართლისაჲ, 2008: 282-283), (თავაძე, 2020: 74-75). გამოკვეთილი არაა როგორი ვითარება იყო მომდევნო ორი მეფის დროს. თუმცა ის ფაქტი, რომ აღსართან პირველი, ძირითადად, ძალაუფლებას ჰერეთში ინარჩუნებდა, ასევე, კახეთის ორ ციხე-სიმაგრეში, დასტურია იმისა, რომ ჰერი დიდებულები ახალი დინასტიის წევრთა საყრდენი გახდა (თავაძე, 2022: 356-359). იმავე მეფის დროს შესამჩნევად ძლიერდება კახეთის დაჯგუფებაც, მაგ. კვეტერისა და ნახჭევნის ციხეები ბოლომდე მეფის ერთგულია (მატიანე ქართლისაჲ, 2008: 289). აღსართან I თავისი მეფობის ბოლოს და, ასევე, კვირიკე IV ახერხებდნენ ბალანსის შენარჩუნებას ორ გავლენიან დაჯგუფებას შორის. აღნიშნულის მთავარი დასტური ისაა, რომ მათ მეფობა არ დაუთმიათ ბაგრატიონთა დინასტიის მზარდი აგრესიის მიუხედავად, ამასთან, ამ პერიოდში არც კახეთ-ჰერეთის დიდებულთა გადასვლა დასტურდება საქართველოს მეფის მხარეს (თავაძე, 2022: 361-384). თუმცა აღსართან პირველის მიერ ისლამის მიღებამ სერიოზულად შეარყია ბაგრატუნ-კვირიკიანთა დინასტიის მმართველობა კახეთ-ჰერეთის სამეფოში, რაც, ნაწილობრივ, გამოსწორდა კვირიკე მეოთხის ზეობის დროს.

აღსართან მეორის დროს კი ვითარება მნიშვნელოვნად აირია. ამას დავითის ისტორიკოსიც ადასტურებს. არეულობის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ მეფის კარზე ჰერეთის დიდებულთა გავლენა შემცირდა, ხოლო მათ ნაცვლად კახეთის დიდაზნაურთა გაძლიერება დაიწყო. ისტორიკოსთან ნახსენები „უმრავლესი კახთა ქუეყნისა ერი“, რომელიც აღსართანის მხარეს გამოდის, გულისხმობს კახეთის დიდებულებს, აზნაურებსა და მსახურების უმრავლესობას, ანუ გასამხედროებული ფენის დიდ ნაწილს, რომელსაც, ბუნებრივია, კახეთის ერისთავები და დიდებულები წარმართავდნენ. ჰერეთის დიდებულებისგან განსხვავებით, კახეთის მმართველი ელიტის თავგამოდება იმისი დასტურია, რომ აღსართან მეორის დამხობით მათი პოზიციები ქვეყანაში სუსტდებოდა, ხოლო ჰერეთის დიდებულთა დავითის მხარეს გადასვლა იმისი ნიშანია, რომ ისინი ახალი მეფის სამსახურის სანაცვლოდ პრივილეგიებს მოელოდნენ. ჰერეთის დიდებულთა არჩევანის ასეთი კარდინალური ცვლილება მათი შერყეული მდგომარეობით შეიძლება აიხსნას, რასაც აღსართან მეორის ზეობის დასაწყისშივე გამოხატული სახე მიეცა.

ამგვარად, დავით აღმაშენებლის წარმატება კახეთ-ჰერეთის შემოერთების საქმეში, მნიშვნელოვანწილად, იმ შინაპოლიტიკური არეულობის შედეგი იყო, რომელსაც რანთა და კახთა სამეფოში ჰქონდა ადგილი. შინაპოლიტიკური არეულობა, ბუნებრივია, მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი იყო, რამაც დავითს კახეთ-ჰერეთის კონტროლი მოაპოვებინა. რანთა და კახთა სამეფოს დაკავებას ხელს უწყობდა სელჩუკთა შორის არსებული შინაომიც, რომელიც წლების მანძილზე მიმდინარეობდა და აღსართანის შეპყრობის დროს ახალი დასრულებული იყო (ჯაფარიძე, 1995: 15-17, 24-26), (თავაძე, 2022: 385-389), (წიქორიძე, 2022: 43-46). დავითის ისტორიკოსის გაკეთებული შეფასებები აღსართანის მისამართით ადასტურებს, რომ ბაგრატიონთა სამეფო კარმა ძლიერი პროპაგანდაც შეიმუშავა, რაც მიზნად ისახავდა კახეთ-ჰერეთის მეფის დისკრედიტაციას (თავაძე, 2022: 385-389, 409-412). ლეგიტიმიზმის პრინციპი, რაზეც ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ, ასევე მოქმედებდა. აღსართანის ჩამოშორების შემდეგ, საფიქრებელია, ამავე სამეფო დინასტიის წევრები საქართველოს განარიდეს (თავაძე, 2022: 380-383). ამ მოცემულობით კახეთ-ჰერეთში არავინ დარჩა, ვინც სერიოზულად შეძლებდა დავითს შესცილებოდა რანთა და კახთა სამეფოს მმართველობაში.

კახეთ-ჰერეთის ინტეგრაციის საქმეში დიდი როლი აქვს სამხედრო წარმატებებსაც. დავითის გამარჯვებამ ერწუხის ბრძოლაში, რაც, რეალურად, კახეთ-ჰერეთის შემოერთებისთვის ბრძოლის კულმინაცია იყო მნიშვნელოვნად განამტკიცა დავითის დაპყრობები რანთა და კახთა სამეფოში. ამის შემდეგ დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: *„ესრეთ რაჲ თჳთმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მიჰფინა წყალობაჲ ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისათა“* (ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 312), (მეტრეველი, 1986: 109-112). ამ ცნობით ნათელია, რომ კახეთ-ჰერეთის სრული დაპყრობა სწორედ ერწუხის ბრძოლის შემდეგ მოხდა. საინტერესოა, რომ დავით აღმაშენებელი, მისი ისტორიკოსი და, ასევე, დავითის მოწინააღმდეგე „უმრავლესი კახთა ქუეყნისა ერი“ კახეთ-ჰერეთის შემოერთებას დაპყრობის კვალიფიკაციას აძლევენ, რასაც დავითის ისტორიკოსი იმით ამართლებს, რომ აღსართანი ცუდი მეფე იყო, ხოლო დავითი, პირიქით, იდეალური მონარქი. რანთა და კახთა სამეფოს აღების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, საქართველოს სამეფოს საერთაშორისო წარმატებებმა, კახეთ-ჰერეთის მმართველ ზედაფენას დავითის უპირატესობა აღსართანთან მიმართებაში გამოკვეთილად აჩვენა.

არსენ იყალთოელის ლექსი, რომელიც მან დავითის გარდაცვალების შემდეგ დაწერა, „ამერთა“ და „იმერთა“ გაერთიანების გარდა თურქების, სპარსელებისა და არაბების განდევნაზეც აკეთებს აქცენტს (მეტრეველი, 1986: 318). დავითის თანამედროვის მიერ შექმნილ ამ იამბიკოში კარგად ჩანს „ამერთა“ და „იმერთა“ გაერთიანების მნიშვნელობა, რომელშიც, ბუნებრივია, კახეთ-ჰერეთის შემოერთებაც იგულისხმება. გამაერთიანებლური პოლიტიკის გარდა გამოკვეთილია ერთიანი ქვეყნის საზღვრიდან მტრების განდევნის თემატიკა. არსენის ეპიტაფია გვიჩვენებს, თუ რა იყო განმსაზღვრელი დავითის პოლიტიკაში. გაერთიანებული ქვეყნისთვის უმთავრესი

ამოცანა სწორედ მტრის განდევნა გახლდათ. აღნიშნული თანაბრად მნიშვნელოვანი იყო როგორც დავითის მემკვიდრეობით მიღებული აფხაზთა და ქართველთა სამეფოსთვის, ასევე, შემოერთებული რანთა და კახთა ქვეყნისთვის. არსენის ლექსი ამტკიცებს, რომ დავითის მოქმედებას კახეთ-ჰერეთის შემოერთების საქმეში ბევრი თანამედროვე გამაერთიანებლური პოლიტიკის ნაწილად თვლიდა.

დავითის პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო სელჩუკთა წინააღმდეგ, მოსახლეობის დიდი ნაწილი დაარწმუნა, რომ გაძლიერებული მუსლიმური სამყაროს მხრიდან მომავალი საფრთხე მხოლოდ ერთობლივი ბრძოლით შეიძლებოდა აღკვეთილიყო. რანთა და კახთა სამეფოს სტაბილური ინტეგრაციის საქმეში ყველაზე მთავარი ის იყო, რომ დავითმა შეძლო კახეთ-ჰერეთი დაეცვა საგარეო-პოლიტიკური გამოწვევებისგან, რაც მისი ერთიან ქართულ სამეფოში ხანგრძლივი ინტეგრაციის საფუძველი გახდა.

დასკვნა

ამრიგად, დავით IV აღმაშენებლის პოლიტიკაში კახეთ-ჰერეთის სამეფოს დიდი ადგილი ეკავა. როგორც პოლიტიკური პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, დავითის პოლიტიკა რანთა და კახთა სამეფოსთან მიმართებაში არ ყოფილა ყოველთვის აგრესიული. დავითი ეგუებოდა დამოუკიდებელი, თვითმყოფადი კახეთ-ჰერეთის სამეფოს არსებობას კვირიკე IV-ის ზეობის ბოლომდე. ის მოქმედებას დაიწყებს მხოლოდ მაშინ, როდესაც კახეთ-ჰერეთის სამეფოში შინაპოლიტიკური არეულობა დაიწყო, როდესაც ორი გავლენიანი დაჯგუფება ერთმანეთს დაუპირისპირდა. დავითმა სწორედ ამ დაპირისპირებით ისარგებლა, ჰერეთის დიდებულთა ერთი ნაწილის დახმარებით ძალაუფლებას ჩამოაშორა მეფე აღსართან II და კახეთის დიდებულთა ის პარტია, რომელიც კახეთ-ჰერეთის უკანასკნელ მეფეს ემხრობოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს მეფეს შეექმნა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, რათა დაეკავებინა მეზობელი ქვეყანა, რომელიც დაყოფილი ქართული სამყაროს ისეთივე ნაწილი იყო, როგორც ბაგრატიონთა აფხაზთა და ქართველთა სამეფო.

რანთა და კახთა სამეფოს დაკავებაში, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა სელჩუკთა სახელმწიფოში არსებულ განხეთქილებასაც. შინაბრძოლებმა სელჩუკებს არ მისცა საშუალება გაერთიანებული ძალებით გამოსულიყვნენ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ. მაგრამ, სელჩუკთა შორის არსებული დაპირისპირება არის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი, რამაც საქართველოს მეფეს საშუალება მისცა რანთა და კახთა სამეფო დაეკავებინა. დავითის წარმატებას უფრო კომპლექსური ახსნა აქვს, ვიდრე ერთი კონკრეტული მიზეზი. ლეგიტიმიზმი, რომელიც ეფუძნებოდა ბაგრატ III-ის მიერ რანთა და კახთა სამეფოს დაკავებასა და, სავარაუდოდ, დავითის დედის ხაზით წარმომავლობას, კახეთ-ჰერეთში შინაპოლიტიკური არეულობა, სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლა, ერწუხის ბრძოლაში გამარჯვება, მოსახლეობის მფარველობა, გამაერთიანებლური პოლიტიკის გატარება და სხვა არაერთი მიზეზი გახდა საფუძველი არამხოლოდ კახეთ-ჰერეთის შემოერთების, არამედ ამ სამეფოს ხანგრძლივი დროით ერთიან საქართველოს სამეფოში გაერთიანების.

მადლიერება

აღნიშნული სტატია ეფუძნება ჩვენს მოხსენებას ამავე სათაურით, რომელიც წარმოვადგინეთ საქართველოს ეროვნული არქივის ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, *„დავით აღმაშენებელი – 950. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – გამოწვევები, ტენდენციები“.* იხ.: პროგრამა, 21-23 სექტემბერი, თბილისი, 2023, გვ. 9. გულითადი მადლობა კონფერენციის ორგანიზატორებს საინტერესო ღონისძიების ჩატარებისთვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

asatiani, n. (1989). davit aghmasheneblis sashinao politikis zogierti sakitkhi (kakhet-heretis shemoerteba). *mnatobi*. N 8. agvisto, 1989. (ასათიანი, ნ. (1989). დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი (კახეთ-ჰერეთის შემოერთება), *მნათობი*. N 8. აგვისტო, 1989).

batonishvili vakhushti. (1973). *kartlis tskhovreba.* t IV. teksti dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tbilisi: gamomtsemloba “sabtchota sakartvelo”. (ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება,* ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

grigolashvili, l. (1975). davit aghmasheneblis “galobani sinanulisani”. (t’ekst’i gamosatsemad moamzada, winasitkvaoba da shenishvnebi daurto l. grigolashvilma). *tsu shromebi: literat’uratmtsodneoba.* t’. 163. tbilisi: tbilisis sakhelmtsifo universitetis gamomtsmeloba. (გრიგოლაშვილი, ლ. (1975). დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ლ, გრიგოლაშვილმა). *თსუ შრომები: ლიტერატურათმცოდნეობა.* ტ. 163. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

jafaridze, g. (1995). *saqartvelo da makhlobeli aghmosavletis islamuri samkaro XII-XIII s-is pirvel mesamedshi*. tbilisi: gamomtsmloba “metsniereba”. (ჯაფარიძე, გ. (1995). *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველი მესამედში.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

javakhishvili, iv. (1983). qartveli eris istoria. *Tkhzulebani tormett tomad.* t II. tbilisi: gamomtsemloba “metsniereba” (ჯავახიშვილი, ივ. (1983). ქართველი ერის ისტორია. *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

dolidze, i. (1970). *k’artuli samartlis dzeglebi.* t. III. tekstebi gamostsa, shenishvnebi da sadziebeli daurto is. dolidzem. gamomtsemloba: “metsniereba”. (დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ის. დოლიძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

lortkifanidze m. sakartvelos shinapolitikuri da sagareo vitareba X s-is 80-iani tslebidan XI s-is 80-ian tslebamde. *sakartvelos istoriis narkvevebi*. t' III. red. z. anchabadze da v guchua. tbilisi: gamomtsemloba “sabtchota sakartvelo”. ლორთქიფანიძე

მ. (1979). საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან და XI ს-ის 80-იან წლებამდე. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. III. რედ. ზ. ანჩაბაძე და ვ. გუჩუა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

margishvili, s. (2006). *mitebi da realoba davit aghmasheneblis mefobis shesakheb: omi seljukta samkaros tsinaaghmdeg.* tbilisi: gamomtsemloba “siesta”. (მარგიშვილი, ს. (2006). *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ.* თბილისი: გამომცემლობა „სიესტა“).

matiane kartlisai. (2008). *kartlis tskhovreba.* mtavari redakt'ori r. Met'reveli. tbilisi: gamomtsemloba “meridian”. “artanuji”. (მატიანე ქართლისაჲ. (2008). *ქართლის ცხოვრება.* მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი. „არტანუჯი“).

metreveli, r. (1986). *davit agmashenebeli: epoqis sotsialur-ekonomikuri da politikur-kulturuli mimokhilva. t*bilisi: gamomtsemloba “sabtchota sakartvelo”. (მეტრეველი, რ. (1986). *დავით IV აღმაშენებელი: ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

metreveli r., samushia j. (2003). *mefet mefe giorgi II: XI saukunis 70-80-iani tslebis sakartvelos polit'ik'uri istoria.* tbilisi: tbilisis sakhelmtsifo universit'et'is gamomtsemloba. (მეტრეველი რ., სამუშია ჯ. (2003). *მეფეთ მეფე გიორგი II: XI საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

papuashvili, t. (1982). *ranta da kakhta samefo.* tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”. (პაპუაშვილი, თ. (1982). *რანთა და კახთა სამეფო.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

samushia, j. (2012). *bagrat III.* tbilisi: ss “sakpresi”. (სამუშია, ჯ. (2012). *ბაგრატ III.* თბილისი: სს „საქპრესი“).

samushia, j. (2018). *bagrat IV.* tbilisi: gamomtsemloba “palitra L”. (სამუშია, ჯ. (2018). *ბაგრატ IV.* თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“).

samushia, j. (2019). *giorgi I.* tbilisi: gamomtsemloba “palitra L”. (სამუშია, ჯ. (2019). *გიორგი I.* თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.

silogavam, v. (1980). *kartuli lapidaruli tsartserebis k'orpusi.* t'. II: dasavlet sakartvelos tsartserebi. nakv.I (IX-XIII ss.). sheadgina da gamosatsemad moamzada v. silogavam. tbilisi: gamomtsmeloba “metsniereba”. (სილოგავა, ვ. (1980). *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი.* ტ. II: დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

tavadze, l. (2020). *k'virik'e III didi.* tbilisi: gamomtsemloba “palitra L”. (თავაძე, ლ. (2020). *კვირიკე III* დიდი. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“).

tavadze, l. (2022). *korepiskoposi da mefe: k'akhetis politikuri istoria VIII-XII sauk'uneebshi.* tbilisi: gamomtsmloba “colori”. (თავაძე, ლ. (2022). *ქორეპისკოპოსი და მეფე: კახეთის პოლიტიკური ისტორია VIII-XII საუკუნეებში.* თბილისი: გამომცემლობა „კოლორი“).

tsikoridze al. (2022). *davit aghmasheneblis strategia.* kutaisi: akaki tsretlis sakhelmtsifo universitetis gamomtsmloba. (წიქორიძე ალ. (2022). *დავით აღმაშენებლის სტრატეგია.* ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

tskhoreba mepet-mepisa davitisi. (2008). *kartlis tskhovreba*. mtavari redakt'ori r. Met'reveli. tbilisi: gamomtsemloba "meridian". "artanuji". (ცხოვრებაᲲ მეფეთ-მეფისა დავითისი. (2008). *ქართლის ცხოვრება*. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი". „არტანუჯი").

Tavadze, L. (2021). Some Details on the Biography of David Agmashenebeli. *Tsu saqartvelos istoriis inst'it'ut'is shromebi*. t'. XVII. tbilisi: tbilisis sakhelmtsifo universitetis gamomtsmeloba. (Tavadze, L. (2021). Some Details on the Biography of David Agmashenebeli. *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* ტ. XVII. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).